ნაშრომის გამოსაქვეყნებლად ჟურნალის შერჩევის ციფრული სტრატეგიები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

2019

სარჩევი

ნაშრომის გამოსაქვეყნებლად ჟურნალის შერჩევის ციფრული სტრატეგიები 2

შესავალი 5

მიმოხილვა და ზოგადი შერჩევა 7

ჟურნალის ზოგადი მიზნები შეიძლება იყოს: 7

ჟურნალისთვის ნაშრომის წარდგენის პროცესი: 7

ნაშრომის წარდგენის ონლაინ პლატფორმები 9

..... 10

აკადემიური წრის წარმომადგენლების საერთაშორისო იდენტიფიკატორი 10

იდეალური ჟურნალის იდენტიფიცირება 10

ჟურნალის მიზნებთან და საქმიანობასთან მიახლობა - ჟურნალის შერჩევის სტრატეგიის შექმნა 10

ელექტრონული ცხრილების მნიშვნელობა 11

სხადასხვა ტიპის ჟურნალები და გასათვალისწინებელი საკითხები 12

ფართო სპექტრის ჟურნალები: 12

სპეციალიზებული ჟურნალები 12

საერთაშორისო ჟურნალები 12

რეგიონალური ჟურნალები 12

ღია წვდომა 13

ჟურნალის ავტორებისთვის გაკეთებული შეთავაზებების სახესხვაობები: 13

ონალინ მეთოდები ჟურნალის შერჩევისას მისი შესაბამისობის დასაგდენად 14

მტაცებელი ჟურნალები 15

ჟურნალების სანდოობის საზომი 15

ჟურნალის იდენტიფიცირების საშუალებები, გაფილტვრადი მონაცემთა ბაზები 19

ჟურნალების რანჟირების მონაცემთა ბაზები (ფარავენ 30 000-მდე ჟურნალს) 21

Figure 1 - ნაშრომის გამოსაქვეყნებლად საჭირო ჟურნალის მოძიების სქემა და ხანგრძლივობა.....5
Figure 2 - ჟურნალების მიერ ნაშრომის გამოქვეყნებაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზები.....6
Figure 3 - აკადემიური ჟურნალების ზოგადი მიზნები.....7
Figure 4 - ნაშრომის ასატვირთი ონლაინ პლატფორმები.....9
Figure 5- ინდექსირების სისტემები/პლატფორმები 16
Figure 6- ჟურნალის ხარისხის შემოწმების სხვა ინდიკატორები;.....17
Figure 7 - ჟურნალების საზომი ციტირების ინდექსირების სისტემები.....18
Figure 8 - ძირითადი გამოცემების მონაცემთა ბაზები.....19
Figure 9- ჟურნალის ძებნის გამარტივებული სისტემები 20
Figure 10 - გადასამოწმებელი საკითხების ჩამონათვალი DOAJ სისტემის გამოყენებისას ღია წვდომის ჟუნრალის შესარჩევად; 21

Table 1 - ელექტრონული ცხრილის ნიმუში. (შენიშვნა: გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ცხრილი შემქნილია დემოსტრირების მიზნით და მასში შემევალი ინფორმაცია შესაძლოა, არასწორი იყოს.).....11

შესავალი

სამეცნიერო ნაშრომის ან სტატიის გამოსაქვეყნებლად სათანადო ჟურნალის შერჩევა ნამდვილი გამოწვევა შეიძლება გახდეს ავტორებისთვის. მსოფლიოს გარშემო არსებულ 30,000 აკადემიურ ჟურნალში რელევანტური ერთეულების ძებნის პროცესი მოითხოვს ძალიან დიდ დროს, ენერგიას და კონცენტრირებას. იმისთვის, რომ გამარტივდეს ჟურნალის შერჩევის პროცესი, მნიშვნელოვანია, რომ წინასწარ, ნათლად იყოს ჩამოყალიბებული სამუშაო სტრატეგია, თუ როგორ უნდა მოხდეს ჟურნალის შერჩევის და სარედაქციო საბჭოსთან მოლაპარაკებების პროცესის წარმართვა. ამასთან, არსებობს უამრავი დამხმარე წესი და მითითება, რომლებსაც შეუძლიათ ავტორის ასისტენტირება მათთვის მისაღები ჟურნალის ძებნის პროცესში.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ, თითქმის, შეუძლებელია ნაშრომის გამოქვეყნება მისი შექმნისთანავე. უმეტეს შემთხვევაში, სარედაქციო საბჭოს ნაშრომების შესარჩევად და გადაწყვეტილების მისაღებად სჭირდება თვეები და წელიც კი. შესაბამისად, რეკომენდირებულია, რომ ავტორებმა დაიწყონ შერჩევის პროცესი, სამიზნე გამოქვეყნების თარიღამდე, მინიმუმ, 6-9 თვით ადრე.



Figure 1 - ნაშრომის გამოსაქვეყნებლად საჭირო ჟურნალის მოძიების სქემა და ხანგრძლივობა

ნაშრომის გამოქვეყნებაზე ნეგატიური გადაწყვეტილების მიღების უმთავრესი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ნაშრომი შეუსაბამო ჟურნალთან იყოს წარდგენილი განსახილველად, ან ის არ ითვალისწინებს ჟურნალის მიერ დაწესებულ კონკრეტულ სარედაქციო დირექტივებს. (მიუხედავად იმის, რომ ავტორმა, შესაძლოა, იხელმძღვანელოს მაღალი დონის სარედაქციო სტანდარტით, შესაძლებელია, რომ ამა თუ იმ ჟურნალს, მცირედი გადახრები ჰქონდეს თავის მოთხოვნებში. ამ შემთხვევაში, საჭიროა ნაშრომის რედაქტირება თითოეული იმ ჟურნალის მითითების შესაბამისად, რომელთანაც ხდება სტატიის გაგზავნა განსახილველად). ასევე, უარის თქმის მიზეზი ხდება აკადემიური წერის წესების უგულვეყოფა სათაურის, აბსტრაქტის, ტექსტის ძირითადი ნაწილის და დასკვნის შედგენასთან დაკავშირებული საერთაშორისოდ აღიარებული ტექნიკური წესების გაუთვალისწინებლობა. დამატებითი ფაქტორები, რაც განაპირობებს ნაშრომის გამოქვეყნებაზე უარის თქმას არის ისეთი მიზეზები, როგორიც არის, მაგალითად, პოტენციური გავლენის მოხდენის მცირე ალბათობა, პლაგიარიზმი, ზედაპირულობა და გრამატიკული გაუმართაობა.

1. •არერელევანტური ჟურნალი
2. •სარედაქციო დირექტივების გაუთვალისწინებლობა
3. •აკადემიური წერის წესების უგულველყოფა
4. •ზეგავლენის მოხდენის ნაკლები ალბათობა
5. •პლაგიარიზმი
6. •ზედაპირულობა
7. •გრამატიკული გაუმართაობა

Figure 2 - ჟურნალების მიერ ნაშრომის გამოქვეყნებაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზები

მიმოხილვა და ზოგადი შერჩევა

თითოეულ ჟურნალს გააჩნია კონკრეტული მიზნები, რომელთა ცოდნა დაეხმარება ავტორებს შესაბამისობაში მოვიდნენ მის მიზნებთან და შეძლონ სარედაქციო საბჭოს წევრების გადაწვყეტილებაზე დადებითი გავლენის მოხდება.

ჟურნალის ზოგადი მიზნები შეიძლება იყოს:



Figure 3 - აკადემიური ჟურნალების ზოგადი მიზნები

ჟურნალისთვის ნაშრომის წარდგენის პროცესი:

ნაშრომის წარდგენის პროცესი რამდენიმე საფეხურისგან შედგება:

1. **კვლევის ჩატარება** – აკადემიური ნაშრომისთვის საჭირო მასალის შეგროვება/დამუშავება;
2. **ნაშრომის მომზადება** – სამეცნიერო ნაშრომი შედგენილი უნდა იყოს გამომცემლობის სარედაქციო დირექტივების მიხედვით და თან უნდა ახლდეს შესაბამისი აბსტრაქტი და ძირითადი სიტყვები;
3. **ჟურნალის შერჩევა** – ჟურნალის შერჩევა უნდა მოხდეს შესაბამის მონაცენთა ბაზებში და რიგ შემთხვევებში, საჭიროა წარიმართოს მოლაპარაკებები სარედაქციო საბჭოს წევრებთან, რომელიც, უმეტესად საჭირო ხდება მაშინ, როდესაც ჟურნალს არ აქვს ნაშრომის წარგდენის ელექტრონული

პლატფორმა და გამოსაქვყენებელ მასალას ელექტრონული ფოსტის საშუალებით იბარებს. რეკომენდირებეულია მოლაპარაკებების პროცესში იმ უნივერსიტეტის დომეინის შემცველი მეილით მოხდეს კომუნიკაცია, რომლის აფილირებული წევრიც არის ავტორი. (მაგ. n.surname@gruni.edu.ge)

4. **პრეზენტაცია** – სამოტივაციო წერილის მომზადება. ჟურნალების გარკვეული ნაწილი ავტორებისგან მოითხოვს ნაშრომის შესასებ თავიანთი პერსპექტივის წარდგენას, რომლის ფარგლებშიც ახსნილი იქნება, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ნაშრომის გამოქვეყნება. სამოტივაციო წერილი შესაძლოა, იყოს 3-4 აბზაცი, აკადემიური წერის წესებით შედგენილი თანმიმდევრული ტექსტი, რომელიც დაფარავს ნაშრომის ძირითად კონცეფციას და გამდიდრებული იქნება 2-3 არგუმენტით, რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ თუ რა სარგებელის მოტანა შეუძლია ნაშრომს აკადემიური წრეებისთვის.
   ავტორები, ასევე, მზად უნდა იყვნენ, რომ წარადგინონ ინგლისურ ენაზე შედგენილი CV.
5. **ნაშრომის წარდგენა;**
6. **რეცენზირება** - ჟურნალების გარვეული ნაწილის პოლიტიკის შესაბამისად, ნაშრომებს რეცენზირება ავტომატურად უკეთდებათ. თუმცა, ნაწილს სჭირდება აღნიშნულის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა, იმ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი ავტორის მიზნებში შედის და მისი საჭიროებებიდან გამომდინარეობს. სწორედ, ეს არის, ერთ-ერთი, მიზეზი იმისა, რის გამოც საჭიროა სარედაქციო საბჭოს წევრებთან ინდივიდუალური კომუნიკაცია.
7. **გადაწყვეტილების მიღება**: ჩასწორება, თანხმობა ან უარყოფა. ნაშრომის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით შესძლოა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პასუხის მიღება. ასევე, შესაძლებელია, კომენტარების გაკეთება, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს მითითებული კომპონენტების ცვლილება, იმისთვის, რომ სარედაქციო საბჭომ შეძლოს, საბოლოო, გამოქვეყნების შესახებ, დადებითი გადაწყვეტილების მიღება.

ნაშრომის წარდგენის ონლაინ პლატფორმები

მაშინ როდესაც ჟურნალების გარკვეული ნაწილი ნაშრომს მეილების სახით იბარებს, ნაწილი იყენებს ელექტრონული წარდგენის პლატფორმებს (manuscript submission platforms), სადაც, ერთ სივრცეში არიან დარეგისტრირებულები ავტორები და გამომცემლები. პლატფორმის საშუალებით პროფესიონალ ავტორებსა და აკედმიკოსებს შესაძლებლობა ეძლევათ მოიძინიონ მათთვის საინტერესო ჟურნალი და ონლაინ წარადგინონ თავიანთი ნამუშევარი.

ნაშრომის ასატვირთი ონლაინ პლატფორმების მაგალითები:

Editorial Manager; Scholar-One Clarivate; Scholastica;

ExpressO;

Figure 4 - ნაშრომის ასატვირთი ონლაინ პლატფორმები

ზემოხსენებულ პლატფორმებზე ერთი ნაშრომისთვის ონლაინ ატვირთვის მომსახურების ღირებულება 3-დან 10 აშშ დოლარამდე მერყეობს. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ ასატვირთ პლატფორმას იყენებს ესა თუ ის ჟურნალი მითითებულია ჟურნალის ვებ-გვერდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული

ინფორმაცია

შესაძლებელია, სარედაქციო საბჭოს წევრებისგან მიიღოთ, რომელთა საკონტატქო ინფორმაციაც, ასევე, მითითებულია ჟურნალის ვებ-გვერდზე.

აკადემიური წრის წარმომადგენლების საერთაშორისო იდენტიფიკატორი

ნაშრომის ასატვირთმა პლატფორმებმა, შესაძლოა, ავტორებისგან მოთხოვონ ORCID კოდის წარდგენა, რომელიც არის აკადემიური საზოგადოების წევრების მუდმივი ელექტრონული იდენტიფიკატორი, რომლის გამოყენებაც შეიძლება როგორც კვლევების წარდგენისას, ისე საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად. სისტემა უზრუნველყოფს ავტორისა და მისი პროფესიული აქტივობების დაკავშირებასა და ცნობადობის ამაღლებას.

იდეალური ჟურნალის იდენტიფიცირება

ჟურნალის მიზნებთან და საქმიანობასთან მიახლოვება - ჟურნალის შერჩევის სტრატეგიის შექმნა

იმისთვის, რომ ძებნის პროცესი ეფექტური იყო, უშუალოდ, ჟურნალის შერჩევის სამუშაოების დაწყებამდე, რეკომენდირებული ნათლად განისაზღვროს შემდეგი საკითხები:

- რა ტიპის ჟურნალი გჭირდებათ, ვიწრო სპეციალიზაციის თუ ფართო სპექტრის?
- მნიშვნელობა: ვის გაუწევს ნაშრომი დახმარებას?
- სიახლე / ინოვაციურობა: როგორია ნაშრომის შედეგი?

მას შემდეგ, რაც შექმნით სასურველი ჟურნალების სიას, მათი ჩაღრმავებული ანალიზი ხდება საჭირო. გამომდინარე აქედან, ქვემოთჩამოთვლილ საკითხებზე უნდა მოხდეს პასუხის გაცემა:

- აქვეყნებს თუ არა მოცემული ჟურნალი იმ შინაარსის ნაშრომებს, რისი გამოვქყენებაც

ავტორს სურს? (ჟურნალი აქცენტირებული შეიძლება იყოს, კონკრეტულად, ორიგინალ ნაშრომებზე, რეცენზიებზე, ქეისებზე, მოხსენებებზე, წერილებზე და ა.შ.)

- რას აქვეყნებს ჟურნალი თეორიულ თუ გამოყენებით კვლევებს?
- რას აქვეყნებს ჟურნალი კლინიკურ თუ ლაბორატორიულ კვლევებს?
- რა ტიპის ჟურნალია ღია წვდომის თუ გამოწერაზე დაფუძნებული?
- ითხოვს თუ არა ჟურნალი სტატიის გამოქვეყნებისთვის ანაზღაურებას?

ზემოხსენებული ინფორმაციის გამორკვევა შესაძლებელია ჟურნალის ვებ-გვერზე შემდეგ პუნქტებში: „ჟურნალის შესახებ“ ან/და „მიზნები და სპექტრი“.

ელექტრონული ცხრილების მნიშვნელობა

ძიების პროცესის გამარტივებისთვის, რეკომენდირებულია ელექტრონული ცხრილის შემქნა და მასში იმ ჟურნალების ჩამონათვალის განთავსება, რომლებშიც ფიქრობთ ნაშრომის წარდგენას. ცხრილში შესაძლებელია ნებისმიერი ინფორმაციის განთავსება, რაც დაგეხმარებათ გამორიცხოთ ნაკლებად სასურველები და ნაცვლად ამის, ფოკუსირება გააკეთოთ თქვენთვის ყველაზე მისაღებ ვარიანტებზე. აღნიშნული ცხრილები დაგეხმარებათ, რომ სამომავლოდ, თქვენთვის მისაღები ჟურნალების ძებნის პროცესი მინიმუმამდე დაიყვანოთ. ცხრილის მოდიფიცირება შესაძლებელია თქვენი, უშუალო, საჭიროებებიდან გამომდინარე და ის შეიძლება, გამოიყურებოდეს შემდეგნაირად:

ინდექსირ ების ბაზა	ISSN	#	ჟურნალის დასახელება	ასატვირთი პლატფორმა	საკონტაქტო ინფორმაცია	დაბეჭდვის ღირებულება	შენიშვნა	ლინკი
Scopus	2213-1035	1	Yale Human Rights and Development Law Journal	ExpressO	name@yale.com	უფასო		

Table 1 - ელექტრონული ცხრილის ნიმუში. (შენიშვნა: გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ცხრილი შემქნილია დემოსტრირების მიზნით და მასში შემევალი ინფორმაცია შესაძლოა, არასწორი იყოს.)

სხადასხვა ტიპის ჟურნალები და გასათვალისწინებელი საკითხები

ფართო სპექტრის ჟურნალები:

წამყვანი ჟურნალები – მაგალითად, Cell, Nature, Science - მსგავსი ტიპის ჟურნალებს აქვთ ძალიან მაღალი კონკურსი და დაბალი მიღების მაჩვენებელი.

მეგა ჟურნალები – აქვთ მაღალი მიღების მაჩვენებელი, მაგრამ, სანაცვლოდ, იღებენ ანაზღაურებას. უმეტეს შემთხვევაში, ჟურნალები, რომლებიც ოპერირებენ ღია წვდომის პრინციპით ითხოვენ ანაზღაურებას სტატიების გამოქვეყნების სანაცვლოად.

სპეციალიზებული ჟურნალები

ტრადიციული და სოციალური – ვიწრო სპეციალიზაცია უზურნველყოფს სწორ სამიზნე ჯგუფებამდე ნაშრომის მიტანას.

საერთაშორისო ჟურნალები

- საერთაშორისო ჟურნალად კატეგორიზება არ ნიშნავს, რომ გამოაქვეყნებენ ნამუშევრებს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, ან ნებისმიერი თემის შესახებ;
- სარგებლობენ ფართო დაფარვით და გლობალური ცნობადობით;
- აქვთ მაღალი დონის სარედქციო სტანდარტები;
- ნაშრომები უნდა იყოს საერთაშორისო დონეზე რელევანტური;

რეგიონალური ჟურნალები

- კარგი საშუალებაა რეგიონალური მნიშვნელობის ნამუშევრების გამოსაქვეყნებლად (მაგ. "ენდემური დაავადებები");
- შესაძლოა, არ იყოს საერთშორისოდ აღიარებული;
- შესაძლოა, წამყვან მონაცემთა ბაზების ინდექსირების სტანდარტებთან (Web of science, Scopus) არ იყოს შესაბამისობაში.

ღია წვდომა

ღია წვდომის პოლიტიკა ჟურნალებს საშუალებას აძლევს ფართოდ გაავრცელონ საკითხავი მასალა. ამასთან ერთად, მკითხველისთვის მასალაზე წვდომა უფასოა. თუმცა, ნაშრომის გამოქვეყნება აღნიშნული ტიპის ჟურნალში ავტორებისთვის ფასიანია და უწევეთ ე.წ. ნაშრომის წარდგენის გადასახადის (submission fee) გადახდა, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, მიუხედავად იმის, დაბეჭდვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება დადებითი იქნება თუ უარყოფითი. აღნიშნული თანხა ყველა ჟურნალის შემთხვევაში ინდივიდუალურია.

ღია წვდომის ჟურნალში ნამუშევრის გაგზავნამდე ავტორებმა უნდა განსაზღვრონ შემდეგი საკითხები:

- ვინ გსურთ რომ იყოს თქვენი მკითხველი?
- რამდენად ფართო აუდიტორიასთან გსურთ წვდომა?
- თუ ნაშრომი, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესძლოა, ფართო აუდიტორიისთვის იყოს საინტერესო, ამ შემთხვევაში, რეკომენდირებულია, რომ გამოიყენოთ ღია წვდომის პოლიტიკით მომუშავე ჟურნალების შეთავაზება;

ჟურნალის ავტორებისთვის გაკეთებული შეთავაზებების სახესხვაობები:

- **ტრადიციული მოდელი** – გამოქვეყნებული ნამუშევრები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ იმ მკითხველებისთვის, რომლებსაც გამოწერილი აქვთ კონკრეტული ჟურნალი;
- **ოქროს ღია წვდომის მოდელი** –კვლევის მასალა შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, მას შემდეგ, რაც მოხდება მათი გამოქვეყნება;
- **მწვანე ღია წვდომის მოდელი** – მასალის შეტანის ხდება სპეციფიურ საგანზე ორიენტირებულ სათავსში;
- **ჰიბრიდული მოდელი** – გამოქვეყნებული შრომების ნაწილი ღიაა, ხოლო ნაწილი მოითხოვს გამოწერას.

ღია წვდომის მოდელების ჟურნალებში ნაშრომის გამოქვეყენების საშუალო ფასები

- ზოგიერთი მათგანი არის უფასო;
- ღია წვდომის მოდელებით მომუშავე ჟურნალებში ნაშრომის გამოქვეყნების საფასური, უმეტესად, შეადგენს $ 800-900 აშშ დოლარს;
- ნაშრომის გამოქვეყნება ღია წვდომის მოდელი მქონე ჟურნალში, რომლიც, ამავდროულად, ჰყავს გამომწერები, ფასი შეადგენს – $ 1,500 – 2,000 აშშ დოლარს;
- ტოპ-რეიტინგულ ჟურნალებში ნაშრომის გამოქვეყნების საფასური – $ 6,000 აშშ დოლარამდე ადის;

ონალინ მეთოდები ჟურნალის შერჩევისას მისი შესაბამისობის დასაგდენად

21-ე საუკუნის მეორე ათწლეულში აკადემიური ჟურნალების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა, მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებთან თანამშრომლობისგან კვალიფიციურმა ავტორმა თავი უნდა შეიკავანო.

მეცნიერებისა და სამედიცინო პუბლიკციების საერთაშორისო ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით დაფიქსირდა რომ:

- 2014 წელს, 28,000 აქტიური, ინგლისურენოვანი, რეცენზირებადი აკადემური ჟურნალი იყო რეგისტრირებული;
- 2016 წელს დაფიქსირდა 900 მტაცებელი ჟურნალი;
- მიმდინარე ეტაპზე, მსოფლიოს გარშემო დარეგისტრირებულია 34,000 აქტიური აკადემიური ჟურნალი, მათ შორის, ნაწილი არის არაინგლისურენოვანი;

ჟურნალებს შორის დიდი კონკურენციაა და მათ შორის საუკეთესოს გამოსავლენად გამოიყენება რანჟირების სისტემები.

მტაცებელი ჟურნალები

სამწუხაროდ, ყველა აკადემიური ჟურნალი არ მოდის შესაბამისობაში მკვლევარის და ავტორის საჭიროებებთან. ერთი მხრივ, ავტორები ზრუნავენ, რომ თავისი ნაშრომი გამოაქვეყნონ კარგი რეპუტაციის მქონე, პოპულარულ, გავლენიან და რეცენზირებად ჟურნალში. მეორე მხრივ, მტაცებელი ჟურნალები, რომლებსაც აქვთ გამოქვეყნების მაღალი მაჩვენებელი, თავის თავს პოზიციონირებას უწევენ როგორ მაღალი სტანდარტის მქონე აკადემიურ ჟურნალებს და შეცდომაში შეჰყავთ გამომცემლობის მაძიებელი მეცნიერები. მტაცებელი ჟურნალები ნაშრომის გამოქვეყნებისთვის ითხოვენ ანაზღაურებას, მაგრამ ვერ აკმაყოფილებენ აკადემიური ჟურნალების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს, მათ არ გააჩნიათ ზეგავლენის მოხდენის იდექსები და არ არიან ინდექსირებულები საერთაშორისო ინდექსირების სისტემების მონაცემთა ბაზებში. მტაცებელი ჟურნალები არ სთავაზობენ ნაშრომების რეცენზირების სერვისს. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს რომ მაღალი სტანდარტის მქონე ჟურნალები არ აქვეყნებენ ნაშრომებს, რომლებიც ერთხელ უკვე გამოქვეყნებულია სხვა გამომცემლობებეის მიერ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ავტორებმა შეძლონ მაღალი სტანდარტების მქონე და მტაცებელი ჟურნალების ერთმანეთისგან გარჩევა.

ჟურნალების სანდოობის საზომი

ჟურნალის არსებობა ინდექსირების სერვისებში მისი სანდოობის კარგი მაჩვენებელია.

ინდექსირების სისტემები/პლატფორმების მაგალითები:

- ISI – Impact Factor;
- Web of Science;
- Scopus;
- SciFinder
- IEEE Xplorer;
- PubMed;
- EMBASE;
- CiteSeer^{X}

Figure 5- ინდექსირების სისტემები/პლატფორმები

დამატებით, სანდო ჟურნალები თავისი ბრენდის სტიმულირებას აქტიურად ეწევიან სოციალურ ქსელებში - LinkedIn, Twitter, Facebook.

ჟურნალების ხარისხის შემოწმების სხვა ინდიკატორები:



Figure 6- ჟურნალის ხარისხის შემოწმების სხვა ინდიკატორები;

ჟურნალის შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანია, ასევე, ციტირების საზომებში გარკევვა. ისინი ზომავენ ჟურნალების ციტირების ინტენსივობას (აკადემიურ კველევბზე დამყარებული საზომი სისტემები). აღნიშნული სისტემები ზომავს ჟურნალების აქტივობას აკადემიურ სფეროში, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში.

ჟურნალის საზომი ციტირების ინდიქსირების სისტემები:



Figure 7 - ჟურნალების საზომი ციტირების ინდექსირების სისტემები

ჟურნალის იდენტიფიცირების საშუალებები, გაფილტვრადი მონაცემთა ბაზები

FindMyJournal – ასისტენტირებას უწევს მკვლევარებს, რომ მოახდინონ სამიზნე ჟურნალების იდენტიფიცრება;

ჟურნალების ყველაზე მსხვილი მონაცემთა-ბაზები:



Figure 8 - ძირითადი გამოცემების მონაცემთა ბაზები

ჟურნალის ძებნის გამარტივებული სისტემები:

Figure 9- ჟურნალის ძებნის გამარტივებული სისტემები

შესაბამისობის დასადგენად ყველა საძიებო სისტემა იყენებს ნაშრომის აბსტრაქტს და სათაურს, შესაძლოა, მოთხოვნილი იქნას ძირითადი სიტყვები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ კარგად შედეგნილი აბსტრქატი და სწორად შერჩეული სათაური მზად იყოს შერჩევის პროცესის დაწყებისას.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ყველა ჟურნალი რომლებიც ზემოხსენებულ ინდექსირების სისტემებში არიან მოხვედრილები შესძლოა, არ იყვენენ რეცენზირებადები. აღნიშნული კომპონენტის შემოწმება უნდა მოხდეს დამოუკიდებლად.

DOAJ (ღია წვდომის ჟურნალების ცნობარი)

- ონლაინ ცნობარი, რომელიც აერთიანებს 12,000 მაღალი ხარისხის, რეცენზირებად, ღია წვდომის ჟურნალებს მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის, მათემატიკის სოციალური მეცნიერებების და ჰუმანიტარული დისციპლინების მიმართულებით;
- DOAJ არის კარგი დასაწყისი ისეთი ჟურნალის მოსაძებნად, რომლებიც ოპერირებენ ღია წვდომის პრინციპით და ამავდროულად, არიან სანდოები;
- DOAJ სტიმულირებას უკეთებს აკადემიური გამომცემლობის გამჭვირვალობას და ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას;

DOAJ სისტემით ღია წვდომის ჟურნალის შერჩევისას გაითვალისწინეთ შემდეგი საკითხები:



Figure 10 - გადასამოწმებელი საკითხების ჩამონათვალი DOAJ სისტემის გამოყენებისას ღია წვდომის ჟურნალის შესარჩევად;

ჟურნალების რანჟირების მონაცემთა ბაზები (ფარავენ 30 000-მდე ჟურნალს)

- Elsever
- Scopus
- SCImago

გრიგოლ როლბაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი

მარიამ სულაშვილი

სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

ელ. ფოსტა: m.sulashvili@gruni.edu.ge

ტელ: (+995) 322 38 44 46 (133)